

1961/9



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

58572



№ 22 (145)

10 აგვისტო

1961 წელი

ზ ი ნ ა ა რ ს ი

26

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრაქტიკუმიის ბრძანებულებები და დადგენილებები

ბანყოფილება პირველი

- 339. ხელშეკრულება ანტარქტიკის შესახებ.
- 340. ოქმი 1960 წლის 4 აგვისტოს შეთანხმებისა ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და განის რესპუბლიკის შორის.
- 341. დამატებითი ოქმი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და არგენტინის რესპუბლიკის მთავრობას შორის არგენტინის ნავთობის მრეწველობისათვის სსრ კავშირიდან არგენტინაში მანქანური მოწყობილობის კრედიტით მიწოდების შესახებ შეთანხმებისა, რომელიც ხელმოწერილია 1958 წლის 27 ოქტომბერს.

ბანყოფილება მეორე

- 342. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ა. გ. მოზოლევსკის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 343. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ე. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრის სელუქციონერ პ. პ. ლუკინენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ბანყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევის რწმუნების სიგელები გადასცა ნებალის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯ. ნ. სინგხამ.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევის რწმუნების სიგელები გადასცა მაროკოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ. ბ. აბესმა.



განყოფილება მეორე

344. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
345. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
346. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ბანყოფილება პირველი

339 ხელშეკრულება ანტარქტიკის შესახებ

არგენტინის, ავსტრალიის, ბელგიის, ჩილის, საფრანგეთის რესპუბლიკის, იაპონიის, ახალი ზელანდიის, ნორვეგიის, სამხრეთ აფრიკის კავშირის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლანდიის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები,

იმის შეგნებით, რომ მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის ანტარქტიკა შემდგომად ყოველთვის გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის და არ უნდა გახდეს საერთაშორისო უთანხმოების ასპარეზად ან საგანად;

აღიარებენ რა არსებით წვლილს, რომელიც მეცნიერულ შემეცნებაში შეტანილია ანტარქტიკის მეცნიერულ გამოკვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის მეოხებით;

დარწმუნებული იმაში, რომ ანტარქტიკაში მეცნიერული გამოკვლევების თავისუფლების საფუძველზე ასეთი თანამშრომლობის გაგრძელებისა და განმტკიცებისათვის მყარი საფუძვლის შექმნა, როგორც იგი ხორციელდებოდა საერთაშორისო გეოფიზიკური წლის განმავლობაში, შეესაბამება მეცნიერებისა და მთელი კაცობრიობის პროგრესის ინტერესებს;

დარწმუნებული აგრეთვე იმაში, რომ ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს ანტარქტიკის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებას და ანტარქტიკაში საერთაშორისო თანხმობის გაგრძელებას, ხელს შეუწყობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების განხორციელებას;

შეთანხმდნენ ქვემოთყვანილზე:

მუხლი I

1. ანტარქტიკა გამოყენებულ იქნება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის. აკრძალულია, კერძოდ, სამხედრო ხასიათის ყოველგვარი ღონისძიება, ისეთი როგორც არის სამხედრო ბაზებისა და სიმაგრეების შექმნა, სამხედრო მანევრები, აგრეთვე ყოველგვარი სახეობის იარაღის გამოცდა.

2. ეს ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება მეცნიერული გამოკვლევების ან ყველა სხვა მშვიდობიანი მიზნისათვის სამხედრო პერსონალის ან აღჭურვილობის გამოყენებას.

მუხლი II



ანტარქტიკაში მეცნიერულ გამოკვლევათა თავისუფლება და ამ მიზნით თანამშრომლობა, როგორც იგი მიღებული იყო საერთაშორისო გეოფიზიკური წლის განმავლობაში, გაგრძელდება ამ ხელშეკრულების დებულების შესაბამისად.

მუხლი III

1. ანტარქტიკაში მეცნიერულ გამოკვლევათა საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ხელის შესაწყობად, როგორც ეს ვათვალისწინებულა ამ ხელშეკრულების II მუხლში, ხელშეკრულების დამდები მხარეები შეთანხმდნენ, რომ მაქსიმალურად შესაძლო და პრაქტიკული განხორციელების ფარგლებში:

a) იწარმოებს ინფორმაციების გაცვლა ანტარქტიკაში მეცნიერულ სამუშაოთა გეგმების შესახებ, იმისათვის, რომ უზრუნველყონ სახსრების მაქსიმალური ეკონომია და სამუშაოთა ეფექტურობა;

b) იწარმოებს ანტარქტიკაში მეცნიერული პერსონალის გაცვლა ექსპედიციებსა და სადგურებს შორის;

c) იწარმოებს ანტარქტიკაში მეცნიერული დაკვირვებებისა და მონაცემების გაცვლა და უზრუნველყოფილ იქნება ამ დაკვირვებებით და მონაცემებით თავისუფლად სარგებლობა.

2. ამ მუხლის შესრულების დროს ყოველმხრივ წახალისებულ იქნება საქმიანი თანამშრომლობის ურთიერთობის დამყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების იმ სპეციალიზებულ დაწესებულებებთან, რომლებიც ანტარქტიკით დაინტერესებული არიან მეცნიერული ან ტექნიკური თვალსაზრისით.

მუხლი IV

1. არაფერი, რასაც შეიცავს ეს ხელშეკრულება, განმარტებულ არ უნდა იქნას როგორც:

a) ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარის უარი იმ უფლებებსა და პრეტენზიებზე, რომლებიც მათ ადრე განაცხადეს ტერიტორიული სუვერენიტეტისადმი ანტარქტიკაში;

b) ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარის უარი ანტარქტიკაში ტერიტორიული სუვერენიტეტისადმი პრეტენზიის ყოველგვარ საფუძველზე ან ამ საფუძვლის შეკვეცაზე, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს ანტარქტიკაში მისი საქმიანობის ან მისი მოქალაქეების საქმიანობის ან სხვა მიზეზების შედეგად;

c) ზიანის მიმყენებელი ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარის პოზიციისათვის მის მიერ უფლების ან პრეტენზიის ცნობის ან არ ცნობის შესახებ ან ანტარქტიკაში ტერიტორიული სუვერენიტეტისადმი ყოველი სხვა სახელმწიფოს პრეტენზიის საფუძვლისათვის.

2. არავითარი მოქმედება ან საქმიანობა, რომლებიც განხორციელდება სანამ ეს ხელშეკრულება ძალაშია, არ შექმნიან საფუძველს ანტარქტიკაში ტერიტორიული სუვერენიტეტისადმი რაიმე პრეტენზიის განცხადებისათვის, მხარეების ან უარყოფისათვის და არ წარმოშობენ ანტარქტიკაში ტერიტორიული სუვერენიტეტის არავითარ უფლებებს.

ანტარქტიკაში ტერიტორიული სუვერენიტეტისადმი არავითარი ახალი პრეტენზიის ან არსებული პრეტენზიის გაფართოებაზე განცხადებები გაკეთებულ არ იქნება, სანამ ეს ხელშეკრულება ძალაშია.

მუხლი V

1. ყოველგვარი ატომური აფეთქებები ანტარქტიკაში და ამ რაიონში რადიოაქტიური მასალების თავმოყრა აკრძალულია.

2. ატომგულის ენერჯის გამოყენების შესახებ, მათ შორის ატომური აფეთქების და რადიოაქტიური ნარჩენების თავმოყრის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების დადების შემთხვევაში, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს ხელშეკრულების დამდები ყველა მხარე, რომელთა წარმომადგენლებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ IX მუხლით გათვალისწინებულ თათბირებში, ანტარქტიკაში გამოყენებულ იქნება ასეთი შეთანხმებებით დადგენილი წესები.

მუხლი VI

ამ ხელშეკრულების დებულებები გავრცელდება სამხრეთ განედის მე-60 პარალელის სამხრეთით მდებარე რაიონზე ყველა შელფური მყინვარების ჩათვლით, მაგრამ არაფერი ამ ხელშეკრულებაში არ შელახავს და არავითარ შემთხვევაში არ ხელყოფს, რომელიც გინდა სახელმწიფოს უფლებებს ან ამ უფლებების განხორციელებას, რომლებიც საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულია გაშლილი ზღვის შესახებ ამ რაიონის ფარგლებში.

მუხლი VII

1. მიზნების მიღწევის ხელშესაწყობად და ამ ხელშეკრულების დებულებათა დაცვის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულების დამდებ თითოეულ მხარეს, რომლის წარმომადგენლებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ამ ხელშეკრულების IX მუხლით გათვალისწინებულ თათბირებში, უფლება აქვს დანიშნოს მეთვალყურენი ამ მუხლით გათვალისწინებული ყოველგვარი ინსპექციის განსახორციელებლად. მეთვალყურენი ხელშეკრულების დამდებ იმ მხარის მოქალაქენი უნდა იყვნენ, რომელმაც ისინი დანიშნა. მეთვალყურეების გარეშს ატყობინებენ ხელშეკრულების დამდებ თითოეულ მხარეს, რომელსაც უფლება აქვს დანიშნოს მეთვალყურეები, ასეთივე ცნობა გაკეთდება მათი დანიშნის ვადის გასვლის შესახებაც.

2. ამ მუხლის I პუნქტის დებულებების შესაბამისად დანიშნულ თითოეულ მეთვალყურეს ყოველ დროს სრულიად თავისუფლად შეუძლია შევიდეს ანტარქტიკის ყოველ ან ყველა რაიონში.



3. ანტარქტიკის ყველა რაიონი, მათ შორის ამ რაიონებში არსებული ყველა სადგური, დანადგარი და მოწყობილობა, აგრეთვე ანტარქტიკაში ტერიტორიის დატვირთვის ან გადმოტვირთვის პუნქტებში მყოფი საზღვაო ან საჰაერო ხომალდები ან პერსონალი ყოველთვის ხელისმისაწვდომია ინსპექციის გასაწევად ყოველი მეთვალყურესათვის, რომლებიც დანიშნული არიან ამ მუხლის I პუნქტის დებულებების შესაბამისად.

4. ჰაერიდან მეთვალყურეობა ანტარქტიკის ყოველ ან ყველა რაიონზე ყოველ დროს შეუძლია აწარმოოს ხელშეკრულების დამდებმა თითოეულმა მხარემ, რომელსაც უფლება აქვს დანიშნოს მეთვალყურენი.

5. ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე მისთვის ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ინფორმაციას აწვდის ხელშეკრულების დამდებ სხვა მხარეებს და შემდგომ დროულად აუწყებს მათ:

a) ყველა ექსპედიციის შესახებ ანტარქტიკაში ან ანტარქტიკის ფარგლებში, რომელსაც აწყობენ მისი ხომალდები ან მოქალაქენი, ყველა ექსპედიციის შესახებ ანტარქტიკაში, რომელიც მოეწყობა მის ტერიტორიაზე ან რომელიც მოემართება მისი ტერიტორიიდან;

b) ყველა სადგურის შესახებ ანტარქტიკაში, რომელიც დაკავებული აქვთ მის მოქალაქეებს;

c) ყოველგვარი სამხედრო პერსონალის ან აღჭურვილობის შესახებ, რომელიც მის მიერ განკუთვნილია ანტარქტიკაში გასაგზავნად, ამ ხელშეკრულების I მუხლის 2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

მუხლი VIII

1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე მათ მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელების ხელისშეწყობის მიზნით და ანტარქტიკაში ყველა სხვა პირთა იურისდიქციის თაობაზე ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარის შესაბამისი პოზიციისათვის ზიანის მიუყენებლივ, მეთვალყურენი რომლებიც დანიშნული არიან VII მუხლის 1 პუნქტის დებულებების შესაბამისად, და სამეცნიერო პერსონალი, რომელსაც ურთიერთშორის ცვლიან ხელშეკრულების III მუხლის 1 (b) ქვეპუნქტის შესაბამისად, აგრეთვე ყოველ ასეთ პირთა გამყოლი პერსონალი ყველა იმ მოქმედებასა და დაუდევრობაზე, რომლებიც მოხდა თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად მათი ანტარქტიკაში ყოფნის დროს, იმყოფებიან მხოლოდ ხელშეკრულების დამდები იმ მხარის იურისდიქციაში, რომელთა მოქალაქეებიც ისინი არიან.

2. ამ მუხლის 1 პუნქტის დებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად და IX მუხლის 1 (e) ქვეპუნქტის დებულებების შესაბამისად ზომების მიღებამდე ხელშეკრულების დამდები დაინტერესებული მხარეები დავის ყოველ შემთხვევაში ანტარქტიკაში იურისდიქციის განხორციელების თაობაზე ერთმანეთს შორის დაუყოვნებლივ მოაწყობენ კონსულტაციას ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღწევის მიზნით.



1. ამ ხელშეკრულების პრეამბულაში ნახსენებ ხელშეკრულების მხარეთა წარმომადგენელი შეიკრიბებიან ქალაქ კანბერაში ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ორი თვისა და შემდგომ შეიკრიბებიან დროს იმ მონაკვეთში და იმ ადგილებში, რომლებსაც ისინი თვითონ განსაზღვრავენ, ანტარქტიკის საკითხებზე ინფორმაციების, ურთიერთ კონსულტაციების გაცვლის მიზნით, რომლებიც წარმომადგენენ საერთო ინტერესს, აგრეთვე იმ ღონისძიებათა შემუშავების, განხილვისა და თავიანთი მთავრობებისათვის რეკომენდაციის მიზნით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ ხელშეკრულების პრინციპებისა და მიზნების განხორციელებას, შემდეგი ღონისძიებების ჩათვლით;

- a) ანტარქტიკის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით გამოყენება;
- b) ანტარქტიკაში მეცნიერული გამოკვლევებისათვის ხელის შეწყობა;
- c) ანტარქტიკაში საერთაშორისო მეცნიერული თანამშრომლობისათვის ხელის შეწყობა;
- d) ამ ხელშეკრულების VII მუხლით გათვალისწინებული ინსპექციის უფლებათა განხორციელებისათვის ხელის შეწყობა;
- e) ანტარქტიკაში იურისდიქციის განხორციელების საკითხები;
- f) ცოცხალი რესურსების დაცვა და შენარჩუნება ანტარქტიკაში.

2. ხელშეკრულების დამდებ თითოეულ მხარეს, რომელიც XIII მუხლის დებულებების შესაბამისად შეერთების გზით გახდა ამ ხელშეკრულების მონაწილე, უფლება აქვს აღნიშნოს წარმომადგენლები ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ თათბირებში მონაწილეობის მისაღებად იმ ხნის განმავლობაში, სანამ ხელშეკრულების დამდები ეს მხარე დაინტერესებულია ანტარქტიკაში არსებითი მეცნიერულ-კვლევითი საქმიანობის განხორციელებით, როგორც არის სამეცნიერო სადგურის შექმნა ან სამეცნიერო ექსპედიციის გაგზავნა.

3. ამ ხელშეკრულების VII მუხლში აღნიშნულ მეთვალყურეთა მოხსენებები გაეგზავნება ხელშეკრულების დამდებ მხარეთა წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობენ ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ თათბირებში.

4. ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ღონისძიებები ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს ხელშეკრულების დამდები ყველა მხარე, რომელთა წარმომადგენლებს უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ამ ღონისძიებების განსახილველად მოწვეულ თათბირებში.

5. ამ ხელშეკრულებაში დადგენილი ყოველი ან ყველა უფლება შეიძლება განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ასეთი უფლებების განხორციელების ხელის შეწყობა რაიმე ღონისძიებები წამოყენებული, განხილული ან მოწონებული, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ მუხლში.

მუხლი X

ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე კისრულობს ვალდებულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შეთავსებადი ყოველი

ლონე იხმაროს იმისათვის, რომ ანტარქტიკაში არ განხორციელდეს რაიმე
თი საქმიანობა, რომელიც ამ ხელშეკრულების პრინციპების ან მიზნების
ნააღმდეგო იქნება.



მუხლი XI

1. ამ ხელშეკრულების განმარტების ან გამოყენების დროს ხელშეკრულების დამდებ ორ ან რამდენიმე მხარეს შორის რაიმე დავის წარმოშობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდები ეს მხარეები მოლაპარაკების, გამოძიების, შუამდგომლობის, შერიგების, არბიტრაჟის, სასამართლო განხილვის ან მათი პირადი არჩევანის მიხედვით სხვა მშვიდობიანი საშუალებებით დავის გადაჭრის მიზნით ერთმანეთს შორის მოაწყობენ კონსულტაციებს.

2. ისეთი სახის ყოველი დავა, რომლის გადაჭრა არ მოხერხდება აღნიშნული გზით, თითოეულ შემთხვევაში დავის მონაწილე ყველა მხარის თანხმობით გადასაჭრელად გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს; მაგრამ, თუ არ იქნება მიღწეული შეთანხმება დავის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ, მხარეები, რომლებიც მონაწილეობდნენ დავაში, არ თავისუფლდებიან მოვალეობისაგან განაგრძონ მისი გადაჭრის ძიება ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ყოველი სხვადასხვა მშვიდობიანი საშუალებით.

მუხლი XII

1. a) ეს ხელშეკრულება შეიძლება ყოველ დროს შეიცვალოს ან შეტანილ იქნას მასში შესწორება ხელშეკრულების დამდები ყველა მხარის თანხმობით, რომელთა წარმომადგენლებს აქვთ IX მუხლით გათვალისწინებულ თათბირებში მონაწილეობის უფლება. ყოველი ასეთი ცვლილება ან ყოველი ასეთი შესწორება ძალაში შედის მთავრობა-დეპოზიტარიუმის მიერ ხელშეკრულების დამდები ყველა მხარისაგან რატიფიკაციის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ;

b) ასეთი ცვლილება ან ასეთი შესწორება შემდგომ ძალაში შედის ხელშეკრულების დამდები ყოველი სხვა მხარის მიმართ მისგან მთავრობა-დეპოზიტარიუმის მიერ რატიფიკაციის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ. ხელშეკრულების დამდები ყოველი ისეთი მხარე, რომლისგანაც ცვლილების ან შესწორების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში მიღებული არ იქნება ცნობა რატიფიკაციის შესახებ ამ მუხლის 1 (a) ქვეპუნქტის დებულებების შესაბამისად, განხილულ იქნება როგორც გამოსული ამ ხელშეკრულებიდან ამ ვადის გასვლის დღეს.

2. a) თუ ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ოცდაათი წლის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარე, რომელთა წარმომადგენლებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ IX მუხლით გათვალისწინებულ თათბირებში, ამას მოითხოვს მთავრობა-დეპოზიტარიუმისათვის მიმართვის გაგზავნის გზით, მაშინ მოწვეულ იქნება, ისე სწრაფად, როგორც ეს პრაქტიკულად განსახორციელებელია, ხელშეკრულების დამდები ყველა მხარის კონფერენცია საკითხის განსახილველად იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ხელშეკრულება.

ბ) ამ ხელშეკრულების ყოველგვარი ცვლილება ან მისი ყოველგვარი შესწორება, რომელიც მოწონებულ იქნება აღნიშნულ კონფერენციაზე წარმოდგენილ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა უმრავლესობის მიერ, იმ მხარეთა უმრავლესობის ჩათვლით, რომელთა წარმომადგენლებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ IX მუხლით გათვალისწინებულ თათბირებში, მთავრობა-დებოზიტარიუმი კონფერენციის დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ აცნობებს ხელშეკრულების დამდებ ყველა მხარეს და ძალაში შედის ამ მუხლის 1 პუნქტის დებულებების შესაბამისად.

ც) თუ ყოველი ასეთი ცვლილება ან ყოველი ასეთი შესწორება ამ მუხლის 1 (ა) ქვეპუნქტის დებულებების შესაბამისად ძალაში არ შევა ორ წლის განმავლობაში დღიდან ხელშეკრულების დამდები ყველა მხარის შეტყობინებისა, ხელშეკრულების დამდებ ყველ მხარეს შეუძლია ამ ვადის გასვლის შემდეგ ყოველ დროს აცნობოს მთავრობა-დებოზიტარიუმს ამ ხელშეკრულებიდან მისი გამოსვლის შესახებ; ხელშეკრულებიდან ასეთი გამოსვლა ძალაში შედის მთავრობა-დებოზიტარიუმის მიერ ამ აცნობის მიღების დღიდან ორი წლის გასვლის შემდეგ.

მუხლი XIII

1. ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულ უნდა იქნას მისი ხელისმომწერი სახელმწიფოების მიერ. ხელშეკრულებას შეიძლება შეუერთდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყოველი სახელმწიფო, ან ყოველი სხვა სახელმწიფო, რომელიც შეიძლება მოწვეულ იქნას ხელშეკრულებასთან შესაერთებლად ხელშეკრულების დამდები ყველა მხარის თანხმობით, რომელთა წარმომადგენლებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ამ ხელშეკრულების IX მუხლით გათვალისწინებულ თათბირებში.

2. ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია ან მასთან შეერთება თითოეული სახელმწიფოს მიერ განხორციელდება მისი კონსტიტუციური პროცედურის შესაბამისად.

3. სარატიფიკაციო სიგელები და აქტები შეერთების შესახებ შესანახავად ჩაბარდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომელიც წარმოადგენს მთავრობა-დებოზიტარიუმს.

4. მთავრობა-დებოზიტარიუმი აცნობებს ყველა სახელმწიფოს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ან შეუერთდნენ მას, თითოეული სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ თითოეული აქტის შესანახავად ჩაბარების თარიღს, აგრეთვე ხელშეკრულების და ყოველგვარი მისი ცვლილების ან მისი ყოველგვარი შესწორების ძალაში შესვლის თარიღს.

5. ხელშეკრულების ხელისმომწერი ყველა სახელმწიფოს მიერ სარატიფიკაციო სიგელების შესანახავად ჩაბარების შემდეგ ეს ხელშეკრულება ძალაში შევა ამ სახელმწიფოებისათვის და იმ სახელმწიფოებისათვისაც, რომლებმაც შესანახავად ჩააბარეს აქტები შეერთების შესახებ. შემდგომში ხელშეკრულება

ყოველი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც მას შეუერთდა, ძალაში შედის შეერთების შესახებ აქტის შესანახავად ჩაბარების შემდეგ.

6. ეს ხელშეკრულება მთავრობა-დემოკრატიული მიერ რეგისტრირებულ იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102 მუხლის დებულებების შესაბამისად.

მუხლი XIV

ეს ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, ამასთან თითოეული ტექსტოვანი ერთნაირად აუთენტურია, შესანახავად ჩაბარდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის არქივს, რომელიც სათანადოდ დამოწმებულ ხელშეკრულების პირებს უგზავნის მთავრობებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს მას, ან სახელმწიფოებს, რომლებიც შეუერთდნენ მას.

რის დასადასტურებლად სათანადოდ ამაზე რწმუნების მქონე სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას.

დადებულია ქალაქ ვაშინგტონში ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის პირველ დეკემბერს.



რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 20 ოქტომბერს.

ხელშეკრულება, მისი XIII მუხლის შესაბამისად, ძალაში შევიდა 1961 წლის 23 ივნისს.

მ მ მ ი

340 1960 წლის 4 აპრილის თანახმად ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და განის რესპუბლიკის რესპუბლიკების კავშირისა და განის რესპუბლიკის შორის)

იმისათვის, რომ განხორციელდეს და განვითარდეს შეთანხმება, რომელიც ჩამოყალიბებულია ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და განის რესპუბლიკის 1960 წლის 4 აპრილის შეთანხმების 1, 2 და 3 მუხლებში,

იმ მიზნით, რომ განისაზღვროს იმ საწარმოთა და სხვა ობიექტთა ნუსხა და სიმძლავრე, რომელთა მშენებლობაში სსრ კავშირის მთავრობა უზრუნველყოფს განის რესპუბლიკის მთავრობისადმი ტექნიკური დახმარების გაწევას, და დადგინდეს თითოეული საწარმოს და ობიექტის მიხედვით ტექნიკური დახმარების სახეობანი, ვადები და მოცულობა,

1. შეთანხმება გამოქვეყნებულია „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებებში“ 1960 წლის 10 იანვარი, № 1.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით აღჭურვილმა წარმომადგენლებმა ეს ოქმი ქვემოთყვანილზე:

მუხლი 1

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და განის რესპუბლიკის 1960 წლის 4 აგვისტოს შეთანხმებით (რომელსაც შემდგომში „შეთანხმება“ ეწოდება) მიცემული კრედიტის ანგარიშში და ხსენებული შეთანხმების პირობებში უზრუნველყოფს საბჭოთა ორგანიზაციების მიერ ტექნიკური დახმარების გაწევას განის რესპუბლიკის მთავრობის მიერ დანიშნული განის ორგანიზაციებისათვის სამრეწველო საწარმოებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაში, აგრეთვე იმ სამუშაოების განხორციელებაში, რაც ჩამოთვლილია დანართში, რომელიც ამ ოქმის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს.

დანართში განსაზღვრულია საწარმოების, ობიექტებისა და სამუშაოების, საწარმოებისა და ობიექტების სიმძლავრის ნუსხა, მათი მოკლე ტექნიკური დახასიათება, აგრეთვე იმ ტექნიკური დახმარების სახეობანი, ვადები და მოცულობა, რომელსაც საბჭოთა კავშირი გასწევს თითოეულ საწარმოსა და ობიექტზე.

მუხლი 2

ამ ოქმის დანართით გათვალისწინებული სამრეწველო საწარმოებისა და სხვა ობიექტების მშენებლობას და სამუშაოებს შეასრულებს განის რესპუბლიკის მთავრობა განის აღნიშნული ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, საჭირო მუშახელს, ადგილობრივ მასალებს, დამხმარე საწარმოების, კომუნალური მომსახურების ნაგებობათა, მისასვლელი გზებისა და გარე კომუნიკაციების ხაზების მშენებლობას.

მუხლი 3

თუ ამ ოქმის დანართით საწარმოებისა და სამუშაოთათვის გათვალისწინებული საბჭოთა ორგანიზაციების მიერ შესასრულებელი საპროექტო-საძიებო სამუშაოების, მოწყობილობისა და მასალების მიწოდების ღირებულება ს. ი. ფ. განის ნავსადგურების ფასებში, აღმოჩნდება განის რესპუბლიკის მთავრობისათვის შეთანხმებით მიცემული კრედიტის — 160 მილიონ მანეთ თანხაზე ნაკლები, მაშინ მხარეები შეუთანხმებენ ერთმანეთს იმ დამატებითი ობიექტების ნუსხას, რომლებზედაც გაიწევა ტექნიკური დახმარება აღნიშნული კრედიტის ანგარიშში.

იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა ორგანიზაციების ჩამოთვლილი მომსახურების ღირებულება კრედიტის აღნიშნულ თანხას გადაამეტებს, გადაამეტებულ თანხას აანაზღაურებს განის რესპუბლიკის მთავრობა საბჭოთა კავშირ-განის მოქმედი სავაჭრო შეთანხმების მიხედვით სსრ კავშირისათვის განის საქონლის, მიწოდებით და/ან გირვანქა სტერლინგით, აგრეთვე სხვა თავისუფლად კონ-

ვერსირებული ვალუტით, რომელიც განისაზღვრება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და განის ბანკის შეთანხმებით.



მუხლი 4

იმ შემთხვევებში, როცა ტექნიკური დახმარების გაწევა რომელიმე ობიექტზე არ არის დაკავშირებული სსრ კავშირიდან კომპლექტური მოწყობილობის მიწოდებასთან, განის რესპუბლიკის მთავრობისათვის შეთანხმებით მიცემული კრედიტის გამოყენებული თანხების დაფარვა იწარმოებს განის რესპუბლიკის მთავრობის მიერ თანაბარი ყოველწლიური შენატანებით 12 წლის განმავლობაში, დაწყებული იმ სამუშაოების დამთავრების ერთი წლის შემდეგ, რომლებსაც ასრულებენ საბჭოთა ორგანიზაციები აღნიშნული კრედიტის ანგარიშში.

მოწყობილობისა და მასალების ასანაზღაურებლად კრედიტის გამოყენების თარიღად ჩაითვლება კონოსამენტის თარიღი, ხოლო საპროექტო-საძიებო სამუშაოთა და ტექნიკური დახმარების სხვა სახეობათა ასანაზღაურებლად — საბჭოთა ორგანიზაციების მიერ ანგარიშის გამოწერის თარიღი.

მუხლი 5

იმ ტექნიკური დოკუმენტაციის დამზადებასთან დაკავშირებული საბჭოთა ორგანიზაციების ფაქტიური ხარჯების ანაზღაურება, რომელიც გადაეცემა განის აღნიშნულ ორგანიზაციებს შეთანხმების 4 მუხლის საფუძველზე, იწარმოებს განის ორგანიზაციების მიერ ხსენებული შეთანხმების 9 მუხლის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 6

ეს ოქმი რატიფიცირებულ უნდა იქნას თითოეულ ქვეყანაში დადგენილი წესის შესაბამისად და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც მოხდება მოსკოვში.

ხელმოწერილია აკრაში 1960 წლის 23 დეკემბერს ორ დედან ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების

კავშირის მთავრობის რწმუნებით

მ. შვიბაკოვი.

განის რესპუბლიკის

მთავრობის რწმუნებით

აიე კუში.

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1961 წლის 20 მარტს; განის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1961 წლის 18 აპრილს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1961 წლის 20 მაისს.

ნ უ ს ხ ა

იმ საწარმოთა, ობიექტთა და სამუშაოთა, რომლებზედაც საბჭოთა ორგანიზაციები ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ განის ორგანიზაციებს

№№ რიგ.	საწარმოების, ობიექტებისა და სამუშაოების დასახელება, მათი მოკლე დახასიათება და ტექნიკური დახმარების სახეობანი.	შესრულების ვადები
1	2	3

- 1. 200 ათასამდე კვტ დადგენილი სიმძლავრის ჰიდრო-ელექტროსადგური ბუი მდ. შავ ვოლტაზე**

საბროექტო-საძიებო სამუშაოები	1961—1962 წლები
სამუშაო ნახაზები	მშენებლობის გრაფიკით
სამშენებლო მექანიზმებისა და მასალების მიწოდება	1963—1964 წლები
ჰესისათვის მოწყობილობის მიწოდება	1964—1966 წლები
მშენებლობაში ტექნიკური დახმარების გაწევა და აღნიშნული ჰესის ასაგებად ეროვნული სამშენებლო ორგანიზაციის შექმნაში დახმარების გაწევა	მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადებში

- 2. 250 კილომეტრამდე სიგრძის ელექტროგადაცემის ხაზი ბუის ჰესიდან**

საბროექტო-საძიებო სამუშაოები	1962—1963 წლები
მოწყობილობისა და მასალების მიწოდება	1963—1965 წლები
ტექნიკური დახმარება ელექტროგადაცემის ხაზის აგებაში	

- 3. 21 მილიონ მანეთამდე საერთო თანხის გეოლოგიური სამუშაოები განაში**

გეოლოგიური, საძიებო და ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების შესრულება, აგრეთვე მხარეთა შეთანხმებით მთამადნეულის ცალკეული საბადოების მოცულობისა და მთამადნეულის სახეობათა მიხედვით შეფასების სამუშაოთა განხორციელება

	1961—1964 წლები
--	-----------------

გეოლოგიურ სამუშაოთა განხორციელებლად მოწყობილობის, აპარატურის, ინსტრუმენტების, საჭურვილისა და მასალების მიწოდება, აგრეთვე მხარეთა შორის შეთანხმებული რაოდენობით და ვადებში საჭირო სპეციალისტების მივლინება.

4. თევზის მრეწველობის საწარმოთა კომპლექსი; მათ შორის:

ცვლაში 10 ათასი პირობითი ქილის მწარმოებლურობის თევზის საკონსერვო ქარხანა;

დღე-ღამეში ცხელი და ცივი შებოლვის 3-4 ტონა თევზის მწარმოებლურობის თევზსაბოლავი ქარხანა;

თევზის კულინარიის საამქრო, რომელიც დღე-ღამეში გამოუშვებს 1,5—2 ტონა სხვადასხვა ნაწარმს;

1000 ტონა ტევადობის მაცივარი დღე-ღამეში 25 ტონა გაყინული თევზის მწარმოებლურობის დანადგარით და ყინულის ქარხნით;

ცხიმეულისა და ფქვილის ქარხანა თევზის ფქვილისა და ცხიმეულის დასამზადებლად, რომელიც დღე-ღამეში 30 ტონა ნედლეულს გადაამუშავებს; სახელოსნო თევზსაჭერი იარაღების დასამზადებლად (წელიწადში დაამზადებს 100 ტრალს, 10 ჯიბეებიან ბადეს, 5000 ცალ ბადეს);

გემთშემკეთებელი ბაზა ტრალეებიანი ფლოტის მომსახურებისათვის (20-მდე საშუალო თევზსაჭერი გემის მომსახურება);

ტექნიკური დახმარება თევზჭერის მეთოდების გაუმჯობესებაში და საბჭოთა თევზსაჭერი გემების ათვისებაში;

განის სპეციალისტებთან ერთად თევზის მრეწველობის საწარმოთათვის სამშენებლო მოედნების გამონახვა და შერჩევა

საპროექტო სამუშაოები

1961 წელი

მოწყობილობისა და მასალების მიწოდება

1961—1963 წლები

ტექნიკური დახმარება მშენებლობაში

1963—1964 წლები

5. ბრინჯის ორი სახელმწიფო მეურნეობისა და სიმინდის მოსაყვანად სახელმწიფო მეურნეობის მოწყობა თითოეული დაახლოებით 2,4 ათასი ჰექტარ ფართობზე

საპროექტო-საძიებო სამუშაოები

1961—1962 წლები

პიდროსამელიორაციო სამუშაოების განსახორციელებლად მოწყობილობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ინვენტარისა და მისი სათადარიგო ნაწილების მიწოდება

1962—1963 წლები

ტექნიკური დახმარება აღნიშნული სახელმწიფო მეურნეობების მოწყობასა და მშენებლობაში

1962—1963 წლები

6. საძიებო სამუშაოთა განხორციელება და ტექნიკური დახმარების გაწევა ბამბის საცდელი ნათესების მოწყობაში, რომელთა მიზანია ბამბის სახელმწიფო მეურნეობების დაახლოებით 2,4 ათას ჰექტარამდე ფართობზე მოწყობის ეკონომიური მიზანშეწონილების გარკვევა და განაში ბამბეულის ფაბრიკის მშენებლობის მიზანშეწონილების გარკვევა

საძიებო და საცდელ სამუშაოთა ორგანიზაცია და დახმარების გაწევა სათანადო სპეციალისტების მივლინების გზით

1961—1963 წლები

7. საცხოვრებელი რაიონი ქ. აკრაში

საძიებო სამუშაოები და 180—200 ათას კვადრატული მეტრი საერთო საცხოვრებელი ფართობის 22—25 ათას მცხოვრებთათვის საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის შედგენა და საცხოვრებელი და სამოქალაქო შენობების კომპლექსის პროექტების დამუშავება, მათ შორის 200 ნომრიანი სასტუმროსი

1961—1963 წლები

საპროექტო-საძიებო სამუშაოების შესრულება

8. საცხოვრებელი რაიონი ქ. ტემაში

საძიებო სამუშაოები და 80—100 ათას კვადრატული მეტრი საერთო საცხოვრებელი ფართობის 10—12 ათას მცხოვრებთათვის საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის შედგენა და საცხოვრებელი და სამოქალაქო შენობების კომპლექსის პროექტების დამუშავება

საპროექტო-საძიებო სამუშაოების შესრულება

1961—1963 წლები

9. ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთების (მოხსენების) შედგენა განაში მეტალურგიული და/ან ფერომარ-განეცის ქარხნის მშენებლობის მიზანშეწონილების შესახებ და აღნიშნული საწარმოს ენერგეტიკული და ნედლეულის ბაზის გასარკვევად დახმარების გაწევა, განის სახელმწიფო ორგანიზაციისათვის საძიებო სამუშაოთა პროგრამების შედგენაში

ტექნიკური დახმარება სათანადო სპეციალისტების მივლინების გზით მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადებში გეოლოგიურ-კვლევითი და საძიებო სამუშაოთა განხორციელების შემდეგ

10. ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთების (მოხსენების) შედგენა საბჭოთა მარკის ტრაქტორების ასაწყობად განაში ტრაქტორთსამწყობო ქარხნის მშენებლობის მიზანშეწონილების შესახებ

ტექნიკური დახმარება სათანადო სპეციალისტების მივლინების გზით მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადებში

შენიშვნა: განის ორგანიზაციები მისცემენ საბჭოთა ორგანიზაციებს ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამ დანართში ჩამოთვლილი ობიექტების დაპროექტებისათვის. ამასთან დავალუბანი დაპროექტებაზე წინასწარ შეთანხმებულ იქნება მხარეთა შორის. საბჭოთა ორგანიზაციები იმ შემთხვევაში თუ განის მხარე მოისურვებს, ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ განის ორგანიზაციებს ამოსავალ მონაცემების შეგროვებაში და დაპროექტებისათვის დავალუბათა შედგენაში.

ბ. შ.
(ბ. შავიაკოვი).

ბ. კ.
(ბიე კუში).

დამატებითი ოქმი

341 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და არგენტინის რესპუბლიკის მთავრობას შორის არგენტინის ნავთობის მრავალფეროვნების სსრ კავშირიდან არგენტინაში მანქანური მოწყობილობის კრედიტით მიწოდების შესახებ შეთანხმების, რომელიც ხელმოწერილია 1958 წლის 27 ოქტომბერს)

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და არგენტინის რესპუბლიკის მთავრობის შორის 1958 წლის 27 ოქტომბერს ხელმოწერილ შეთანხმებასთან დაკავშირებით, რომლის შესაბამისად სსრ კავშირი

1. შეთანხმება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ 1959 წლის 21 მაისი, № 20.

მიწოდებს არგენტინაში კრედიტით მანქანურ მოწყობილობას მისი ნავთობი მრეწველობისათვის, ამ ოქმით ორივე მთავრობა შეთანხმდა ქვემოთაღნიშნულ

I. 1958 წლის 27 ოქტომბერს ორივე მთავრობას შორის დადებული შეთანხმების 1 მუხლის შესაბამისად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მიერ არგენტინის რესპუბლიკის მთავრობისათვის მიცემული ამერიკის შეერთებული შტატების 100 მილიონი დოლარი კრედიტის ანგარიშში საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციები არგენტინის რესპუბლიკის მთავრობის თხოვნით გარდა მანქანური მოწყობილობისა არგენტინის ნავთობის მრეწველობისათვის. არგენტინის სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს მიწოდებენ სსრ კავშირში წარმოებულ მანქანურ მოწყობილობას ამერიკის შეერთებული შტატების 50 მილიონამდე დოლარი თანხისა, როგორცაა: საგზაო-სამშენებლო, საამწვო-სატრანსპორტო. სამთო-სამახტო, ელექტროტექნიკური, ენერგეტიკული და სამშენებლო მოწყობილობა, მიწასათხრელი მანქანები, ლითონსაჭრელი ჩარხები, აღნიშნულ მოწყობილობის სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე სხვა სახეობათა მანქანური მოწყობილობა და იარაღი, რომელთა მიწოდების შესახებ მიღწეულ იქნება შეთანხმება შესაბამის საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და არგენტინის სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის.

II. ამ ოქმით გათვალისწინებული მიწოდება სსრ კავშირიდან არგენტინაში იწარმოებს კონტრაქტების მიხედვით, რომლებიც დადებულია ერთი მხრივ, საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და, მეორე მხრივ, არგენტინის სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის. რომლებიც სათანადოდ აღჭურვილი იქნებიან არგენტინის რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით.

აღნიშნული კონტრაქტები, რომლებშიც განსაზღვრულ იქნება მანქანური მოწყობილობისა და იარაღის მიწოდების ვადები, სპეციფიკაციები, ფასები და მიწოდების სხვა პირობები უნდა დაიდოს ამ ოქმის ძალაში შესვლის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ კონტრაქტების დადება შეიძლება მოხდეს ორივე მთავრობის ურთიერთთანხმობით.

III. ამ ოქმით გათვალისწინებული მიწოდებისათვის გადასახდელი გარანტირებულია არგენტინის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს აქცეპტებით იმ გზაზე, თამასუქებზე, რომლებსაც საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციები წარუდგენენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბრძანებას.

აღნიშნულ გზაზე თამასუქებს უნდა ჰქონდეს არგენტინის ეროვნული ბანკის ავალი.

IV. არგენტინის ნავთობის მრეწველობისათვის მანქანური მოწყობილობისა და იარაღის მიწოდებაზე საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და არგენტინის სახელმწიფო ნავთობის ორგანიზაციას (იპვ) შორის კონტრაქტების დადების ვადა, კრედიტის საერთო თანხის ფარგლებში (ამერიკის შეერთებული შტატების 100 მილიონი დოლარი) და ამ ოქმის 1 პუნქტის დადგენილების გათვალისწინებით, გაგრძელდება ექვსი თვით ამ ოქმის ძალაში შესვლის დღიდან. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ორივე მთავრობის თანხმობით.

V. 1958 წლის 27 ოქტომბრის შეთანხმების 1 მუხლის მეხამე აბზაცის დადგენილებათა შესაცვლელად, ამ ოქმით დადგენილია, რომ აღნიშნული კრე-

დიტი გამოყენებულ უნდა იქნას ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღიდან 1962 წლის 31 დეკემბრამდე, ამასთან იგულისხმება, რომ აღნიშნული მანქანების მოწყობილობისა და იარაღის მიწოდება ახალი კონტრაქტების მიხედვით იწარმოებს ამავე ვადის განმავლობაში.

VI. ამ ოქმით გათვალისწინებული მიწოდება, აგრეთვე კრედიტის მიცემა და დაფარვა იწარმოებს ყველა შემთხვევაში, რაც გათვალისწინებული არ არის ამ ოქმით, ხსენებული 1958 წლის 27 ოქტომბრის შეთანხმების პირობებით.

VII. ეს ოქმი რატიფიცირებულ იქნება რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც მოხდება მოსკოვში.

დადებულია ბუენოს-აირესში 1960 წლის 27 მაისს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და ესპანურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის მთავრობის რწმუნებით
ი. ლარჩენკო.

არგენტინის რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
დ. ტაზოლდა.

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1961 წლის 11 თებერვალს; არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1961 წლის 22 მარტს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1961 წლის 18 ივლისს.

ბანყოფილება გეორგი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

342 ახს. ა. ზ. მოვოლვესკის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თვითმფრინავზე ხანძრის ჩაქრობის დროს გამოჩენილი თავდადებისა და მამაცობისათვის, ამასთან ეკიპაჟის წევრთათვის სიცოცხლის გადარჩენის და თვითმფრინავის შენარჩუნებისათვის ზევადიანი სამსახურის უფროსი სერჟანტი ანატოლ გრიგოლის ძე მოვოლვესკი დაჯილდოებულ იქნას წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 25 ივლისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

343 ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრის სელეპტიონოვარ პ. პ. ლუკიანენკოს უროშის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და სოფლის მეურნეობის წარმოებაში საშემოდგომო ხორბლის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების შექმნასა და და-

ნერგვაში დიდი დამსახურების გათვალისწინებით, ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრად სელექციონერი პავლე პანტელეიმონის ძე ლუკიანენკო დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 2 აგვისტო.

ბანჟოფილება მისამო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ტუშინოს აეროდრომზე 1961 წლის 9 ივლისს საპაერო აღლუმის მომზადებისა და ჩატარების შესახებ სსრ კავშირის მთავრობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის და ახალი საავიაციო ტექნიკის წარჩინებით ათვისებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 31 ივლისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა 848 მფრინავი, შტურმანი, პლანერისტი, პარაშუტისტი, ინჟინერი, ტექნიკოსი და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სამოქალაქო საპაერო ფლოტისა და სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების სხვა სპეციალისტი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია 306 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 326, მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 105, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 95 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 16 კაცი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევის რწმუნების სიგელზე გადასცა ნაპალის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯ. ნ. სინგხამ

ა/წ 27 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნემ კრემლში მიიღო ნაპალის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჯარენდრა ნარაიანა სინგხა, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდა საელჩოს მეორე მდივანი ბ. ა. ტაბლია, რომელიც ელჩმა ლ. ი. ბრეჟნევს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ა. ა. ანდრეევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის განყოფილებების გამგეები ვ. ი. ლიხაჩოვი, თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი.

ლ. ი. ბრეჟნევი და ჯ. ნ. სინგხამ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს რწმუნების სიგელების გადაცემისა და ურთიერთ სიტყვებით მიმართვის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ჯ. ნ. სინგხას, საუბარს დაესწრნენ ა. ა. ანდრე-ევი და ნ. პ. ფიროუზბინი.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
ლ. ი. ბრეჟნევის რწმუნების სიგელები გადასცა მაროკოს საგანგებო
და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ. ბ. აბესმა**

ა/წ 3 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევი კრემლში მიიღო მაროკოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბაშირ ბენ აბესი, რომელმაც გადასცა თავისი ახალი რწმუნების სიგელები.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ა. ა. ანდრეევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგეები ა. ა. შვედოვი და თ. თ. მოლოჩკოვი.

ლ. ი. ბრეჟნევი და ბ. ბ. აბესმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და ურთიერთ სიტყვების მიმართვის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ბ. ბ. აბესს. საუბარს დაესწრნენ ა. ა. ანდრეევი და ი. ა. მალიკი.

**საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და
დადგენილებები**

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

344 საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რკინიგზელის დღესთან დაკავშირებით და ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება:

1. გიორგი ილიას ძე **ბაქრაძეს** — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსის მოადგილეს

2. ვარდენ სერგის ძე **გოგოლაძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს უფროსის მოადგილეს



3. ნიკოლოზ პავლეს ძე გოვაკოვს — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაკონშემეკეთებელი ქარხნის სავაგონო-სამგზავრო სამუშაოების უფროსის მოადგილეს

4. ვიქტორ ზაქარაის ძე დავითაშვილს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სპეცდაზიდვის მოძრაობის სამსახურის განყოფილების უფროსს

5. გრიგოლ არტემის ძე თაფლაძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის მატარებლების უსაფრთხო მოძრაობის გზის რევიზორის თანაშემწეს

6. გრიგოლ მინავოს ძე კიკნაძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სამგზავრო სამსახურის უფროსის მოადგილეს

7. ვლადიმერ ბესარიონის ძე მანჯგალაძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სალოკომოტივო მეურნეობის სამსახურის ტექნიკური განყოფილების უფროსს

8. შალვა ალექსანდრეს ძე ნატროშვილს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მოძრაობისა და სატვირთო სამუშაოების განყოფილების უფროსის მოადგილეს

9. დავით ვლადიმერის ძე სანიკიძეს — სადგ. ნავთლუღის დისტანციის უფროსის მოადგილეს ტექნიკურ ნაწილში

10. ალექსანდრე ივანეს ძე ჭიპაშვილს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსს

11. ვლადიმერ პავლეს ძე ჭოლაძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედის განყოფილების საგემო-ტექნიკურ-ეკონომიური განყოფილების უფროსს

12. დავით ივანეს ძე ხარაძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის განყოფილების უფროსს

13. ერემეი ფილიპეს ძე ხარებავას — ამიერკავკასიის რკინიგზის სალოკომოტივო სამსახურის უფროს საგზაო ინსპექტორს

14. გრიგოლ დიმიტრის ძე ჭიჭიძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სალოკომოტივო მეურნეობის უფროს საგზაო ინსპექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიანაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 5 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

345 საქართველოს სსრ დამსახურებული გამოგონებლისა და საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

რკინიგზელის დღესთან დაკავშირებით და თვალსაჩინო გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომელთა სახალხო მეურნეობაში დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მოგვცა, მიენიჭეთ საპატიო წოდება:

ლაზარე ელისეს ძე ტატაროვს — თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნის ყოფილ ინჟინერს, პენსიონერს

საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორისა:

1. გიორგი ივანეს ძე ბეგალიშვილს — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სამონტაჟო სამაქროს ყოფილ უფროსს, პენსიონერს

2. ალექსანდრე ვასილის ძე ბერეჟოვსკის — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სავაგონო მეურნეობის განყოფილების უფროს ინჟინერს

3. იაკობ ივანეს ძე ზონდარევს — ამიერკავკასიის რკინიგზის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დამსახურის უფროს ინჟინერს

4. გიორგი ვასილის ძე გეჯაძეს — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალს.

5. მიხეილ ივანეს ძე ერშოვს — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სამჭედლო სამაქროს უფროსს

6. იაკობ გრიგოლის ძე კიკაჩიშვილს — სამტრედიის სავაგონო დეპოს დამამზადებელი სამაქროს ოსტატს

7. თევდორე დანიელის ძე ლაზარენკოს — ამიერკავკასიის რკინიგზის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სოხუმის დისტანციის კავშირგაბმულობის უფროს ინჟინერს

8. ჰაიკ სოლომონის ძე მატინიანს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების ინჟინერს

9. ვხატანგ იასონის ძე მაღალაშვილს — თბილისის საელმავლო დეპოს მთავარ ინჟინერს

10. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ნათაძეს — თბილისის საელმავლო დეპოს ბრიგადირს

11. გიორგი ესტატეს ძე ტლაშაძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის დისტანციის ზეინკალს

12. ნიკოლოზ ეპიფანეს ძე ცხვარაძეს — სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს უფროსის მოადგილეს

13. ილია დავითის ძე ჭუმბურიძეს — საქართველოს მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიანაშვილი.

(გაგრძელება)

**პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, პრესისა და
რადიომალწყებლობის მუშაკები:**

1. ზაალ დავითის ძე აბაზაძე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების ინსტრუქტორი
2. გივი გიორგის ძე აბალაძე — საქართველოს ალკკ გორის რაიკომის პირველი მდივანი
3. ექვთიმე გიორგის ძე აბაშიძე — ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
4. ალექსანდრე ილარიონის ძე აბაშიძე — საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე
5. პლატონ სილიონის ძე აბესაძე — საქართველოს კპ მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი
6. შოთა რაჭდენის ძე აბესაძე — გორის საკონსერვო ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე
7. მიხეილ ვლადიმერის ძე აბზიანიძე — საქართველოს კპ წულუკიძის რაიკომის პირველი მდივანი
8. დომნა ალექსანდრეს ასული აბუთიძე — ამბროლაურის რაიონის ბუგეულის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი
9. დავით გიორგის ძე აბუთიძე — საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიკომის მეორე მდივანი
10. მოკოდი ანტიფოს ძე აბშილავა — საქართველოს ალკკ ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი
11. ალექსანდრე ლუკას ძე აბშილავა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეფერენტი
12. ალექსანდრე სულეიმანის ძე ადამიანი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის უფროსი კონსულტანტი
13. ალიხან ალექსის ძე ავაზაშვილი — საქართველოს კპ ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი
14. იური სიმონის ძე ავალიანი — ავიამუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
15. მიხეილ მიხეილის ძე ავაქოვი — თეორიწყაროს რაიონის მანგლისის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
16. თამარ არკადის ასული ავეტისოვა — სახვატრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის შრომისა და ხელფასის განყოფილების გამგე

17. ნინო გრიგოლის ასული ავეტისოვა — საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკი
18. ხარიტონ ახმატის ძე ავიძბა — საქართველოს კვ გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი
19. არტემ ივანეს ძე აზიროვი — საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების პასუხისმგებელი ორგანიზატორი
20. ლეონიდე ნიკოლოზის ძე აილინოვი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ავტობაზის მძღოლი
21. ზურაბ ზაქარიას ძე ალადაშვილი — წითელწყაროს რაიონის არბოშის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
22. აპოლონ მეთოდეს ძე ალანია — ზობის რაიონის შუა ქვალონის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
23. ილია გიორგის ძე ალბოროვი — ზნაურის რაიონის ყორნისის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
24. ნიკოლოზ ზაქარიას ძე ალელიშვილი — ახალქალაქის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის დროშით“ რედაქტორი
25. კონსტანტინე ივანეს ძე ალიბეგაშვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი
26. მუსეიბ ალი ოღლი ალიზადე — მარნეულის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მდივანი
27. ივანე გიორგის ძე ალშიბაია — ზუგდიდის რაიონის ჩხოორის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
28. ლეონ ოვანეზის ძე ამირიანი — საქართველოს პროფსაბჭოს ტექნიკური ინსპექტორი
29. ივანე გამსარტის ძე ამიჩბა — ოჩამჩირის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
30. ამირან ოსმანის ძე ანანიძე — საქართველოს კვ ქედის რაიკომის პირველი მდივანი
31. გიორგი ალექსანდრეს ძე ანდრონიკაშვილი — საქართველოს ალკა თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი
32. ქეთევან ივანეს ასული ანდრონიკაშვილი — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თელავის რაიკომის თავმჯდომარე
33. ალექსანდრე სამსონის ძე ანთაძე — საქართველოს კვ აჭარის საოლქო კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგე
34. გივი მალაქიას ძე ანთელავა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის საკითხების შემოწმების განყოფილების გამგე
35. სიმონ გიორგის ძე ანისინოვი — საქართველოს კვ მარნეულის რაიკომის პირველი მდივნის თანაშემწე
36. არსენ ნიკოლოზის ძე არაქელოვი — კასპის ცემენტის ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე

37. მეჯიტ მუსტაფას ძე არგუნი — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
38. იოსებ სიმონის ძე არდია — წალენჯიხის რაიონის საჩინოს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
39. მაქსიმე ვააკის ძე არზუშანიანი — საქართველოს ალკ ბოგდანოვის რაიკომის პირველი მდივანი
40. ნუნუ ტიფოს ასული აროშიძე — საქართველოს ალკ ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი
41. ხანიფა გრიგოლის ასული არსოევა — სტალინირის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი
42. გიორგი პეტრეს ძე არუთინოვი — საქართველოს კვ სოხუმის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი
43. სტეფანე პავლეს ძე არღუნელი — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციის კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილების გამგე
44. ზილფა ნიკოლოზის ასული არჯენიშვილი — ყვარლის რაიონის ენი-სელის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი
45. ძიხეილ ერასტის ძე ასათიანი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი
46. შამშუე პახუმის ძე ასათიანი — საქდესის სტილისტი-რედაქტორი
47. მკრტიჩ სეროპის ძე ასლანიანი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობის და ტელეხედვის კომიტეტის სომხური გადაცემების უფროსი რედაქტორი
48. პავლე ვასილის ძე ასლანიდი — გაზეთ „ვეჩერნი თბილისი“-ს რედაქტორი
49. გურამ ლევანის ძე ასპინძელაშვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი
50. ალექსანდრე ბაგრატიის ძე ავაქიძე — ხობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
51. თეოფანე ევგენის ძე ახალაია — ჩხოროწყუს რაიონის მუხურის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
52. ვასილ გიორგის ძე ახალაია — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი
53. ზურაბ გიორგის ძე ახვლედიანი — საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი
54. კაპიტონ კუტოს ძე ახუბა — ოჩამჩირის რაიონის ჭლოუს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
55. პავლე ალექსანდრეს ძე ბაბუნაშვილი — საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების ინსტრუქტორი
56. შალვა ზაქარიას ძე ბადურაშვილი — თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს რადიოკვანძის დირექტორი
57. თეიმურაზ გიორგის ძე ბადურაშვილი — საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

- 58. მურთაზ ბიქტორის ძე **ბაკურია**—საქართველოს ალკკ აბაშის რაიკომის პირველი მდივანი
- 59. არტემ ხანშოს ძე **ბალახანოვი** — საქართველოს პროფსაბჭოს ორგმასობრივი მუშაობის განყოფილების ინსტრუქტორი
- 60. კოკი ერმილეს ძე **ბანძელაძე** — საგარეჯოს რაიონული გაზეთ „სტალინური სიტყვის“ რედაქტორი
- 61. მიხეილ იოსების ძე **ბალახაძე** — ახალციხის რაიონის აწყურის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
- 62. სანდრო ივანეს ძე **ბალხამიშვილი** — ლენინგორის რაიონის ლარგვისის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
- 63. თინათინ ვლადიმერის ასული **ბაჟინოვა** — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს საერთო განყოფილების გამგე
- 64. ქეთევან სიმონის ასული **ბარათაშვილი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის უფროსი საქმის მწარმოებელი
- 65. ბორის ივანეს ძე **ბარამიძე** — თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მდივანი
- 66. ალექსანდრე სტეფანეს ძე **ბარკალაია** — თბილისის ლენინის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე
- 67. ევგენი ფილიპეს ძე **ბართაია** — გეგეჭკორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
- 68. თამარ ავაქის ასული **ბარაკაშოვა** — საქართველოს კპ ბოლნისის რაიკომის საერთო განყოფილების გამგე
- 69. დიმიტრი ეზუგის ძე **ბარციცი** — გუდაუთის რაიონის ბლაბურხვის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
- 70. თედორე ანდრიას ძე **ბასარია** — ოჩამჩირის რაიონის კვიტოულის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
- 71. რევაზ ვლადიმერის ძე **ბასარია** — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ინსტრუქტორ-კონტროლიორი
- 72. არჩილ გიორგის ძე **ბასაძიშვილი** — საქართველოს ალკკ ახმეტის რაიკომის მეორე მდივანი
- 73. მიხეილ ნიკოლოზის ძე **ბასილაშვილი** — გურჯაანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მდივანი
- 74. შოთა იოსების ძე **ბასიშვილი** — სტალინირის რაიონის ქურთის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
- 75. რუბენ გიორგის ძე **ბასინოვი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ავტობაზის მძღოლი
- 76. ალექსი გიორგის ძე **ბატიაშვილი** — საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი
- 77. ალექსანდრე მამუდის ძე **ბაუჟაძე** — საქართველოს სსრ პოლიტექნიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების აჭარის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე

- 78. კონსტანტინე არჩილის ძე **ბაქრაძე** — საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი
- 79. შალვა რომანის ძე **ბაქრაძე** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი
- 80. კონსტანტინე შალვას ძე **ბაქრაძე** — საქართველოს კვ რუსთავის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი
